ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

შოთა რუსთაველის საქართველოს
ეროვნული სამეცნიერო ფონდი

კონფერენციის თეზისები

მარიკა ჯიქია (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)
დევთოროლოგიის ისტორიიდან

ავთანდილ უჯმაჯურიძე (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)
ეპიზოდები XVI საუკუნის საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობებიდან

მანანა კვეტენაძე (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)
ზოგიერთი ქრისტიანული გადასახადის გავრცელების გეოგრაფია „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ (1595 წ.) მიხედვით

ზაზა შაშიკაძე (baTumis saxelmwifo universiteti)
ოლთისის სადროშო 1574 წლის გურჯისტანის ვილაიეთში

შალვა ჯაფარიძე (საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური)
ოსმალური დავთრების ქართული თარგმანები

დალი ნიკოლაიშვილი (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)
ვაზის კულტურა გურჯისტანის ორი დიდი დავთრის (1574-1595 წწ.) მიხედვით

უჩა ოქროპორიძე (baTumis saxelmwifo universiteti)
ქვის საწნახლები აჭარაში

დავით სართანია
მონადირე ფრინველები ოსმალური დავთრების მიხედვით

დარეჯან კირთაძე.
თხზული გეოგრაფიული სახელები ოსმალური დავთრების მიხედვით (XVI-XIX სს.)

თედო გორგოძე (საქართველოს თავდაცვის სამინისტრო)
ოსმალური დავთრების მიხედვით შედგენილი მესხეთის კარტოგრაფირების ზოგიერთი მეთოდოლოგიური საკითხი

რევაზ თოლორდავა (სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი)
ხერთვისის ციხის მიდამოების ნასახლარებისა და ხელოვნური ტერასების ტოპოგეოდეზიური აგეგმვა

ვაჟა ტრაპაიძე (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)
სამცხე-ჯავახეთის წყლის რესურსების გამოყენების პერსპექტივები

მარიკა ჯიქია

დევთერდარი–ოსმალო მოხელე

ოსმალეთის იმპერიის კარზე XIVსაუკუნეში წარმოიშვა დევთერდარების ინსტიტუტი. უცხოენოვანი ცნობები საკუთარი ქვეყნის შესახებ ისტორიოგრაფიული ძიების წარმმართველი ინტერესი იყო და არის. ამ თვალსაზრისით უაღრესად საინტერესოა ოსმალო მოხელეების მიერ შედგენილი ფისკალური დოკუმენტები –დავთრები, რომლებშიც აღრიცხულია გადასახადები, შემოსავლები და დაუნჯებულია ინფორმაცია მოსახლეობის შესახებ. დევთერდარი დალაშქრულ-დაპყრობილი ქვეყნის კუთხე-კუნჭულს ჩამოჰყვებოდა, ხარკის ამოსაღებ ობიექტად ჩაინიშნავდა ბაღის ბოლოს მიდგმულ ერთ ცალ სკას, ჭვავის, ხორბლის, ოსპის თუ ფეტვის ქილას, დაუბეგრავს არ დატოვებდა დაქორწინების უფლებასაც კი. XVI საუკუნის II ნახევარში პოლიტიკურად გაძლიერებულმა ოსმალებმა ისარგებლეს მაშინდელი საქართველოს გართულებული შინაური მდგომარეობით, დაიპყრეს სამხრეთ საქართველოს სამთავრო – სამცხე-საათაბაგო – და მას გურჯისტანის ვილაიეთი, ე.ი. საქართველოს პროვინცია უწოდეს. დაპყრობის შემდეგ სამცხე-საათაბაგოში მოვლენილმა ოსმალო დევთერდარმა ჯერ 1574 წელს, შემდეგ კი 1595 წელს სრულად აღწერა გურჯისტანის ვილაიეთის ეს კუთხე ხარკის ასაკრეფი ობიექტების სრულად გამოვლენის მიზნით.

მოხელე დევთერდარები კვალიფიციურად ასრულებდნენ დაკისრებულ მოვალეობას და პასუხისმგებლობით ეკიდებოდნენ გეოგრაფიულ და ადამიანთა საკუთარი სახელების ზედმიწევნით ფიქსირებას.

დავთრების ტექსტის მრავალრიცხოვანი მინაწერებიდან ირკვევა, თუ როგორ გადადიოდა ქართველ ფეოდალთა ხელიდან მიწები და სხვა უძრავი ქონება თურქ მოხელეთა ხელში. ადგილობრივი ქართული მოსახლეობა შემცირდა (300-ამდე გაუკაცრიელებული სოფელია აღნუსხული). გამაჰმადიანებული ქართველები მასიურად გადასახლდნენ ოსმალეთში, ხოლო დარჩენილი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი უმაგალითოდ გათურქდა.

ავთანდილ უჯმაჯურიძე

რამდენიმე ეპიზოდი საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობებიდან XVI საუკუნეში

მე-15 საუკუნეში ბიზანტიის დაცემის შემდეგ საქართველოს გაუმეზობლდა ჩამორჩენილი, აგრესიული, მაჰმადიანური ოსმალეთის იმპერია, რომელმაც მეზობელი ქვეყნების დაპყრობის ხარჯზე დაიწყო თავისი საზღვრების გაფართოება. სამწუხაროდ ამ მოვლენამ დააჩქარა ჩვენი ქვეყნის დაშლა-დაქუცმაცების პროცესი, რაც საუკუნის ბოლოს დასრულდა კიდეც. ოსმალთა სამიზნედ პირველ რიგში სამცხე-საათაბაგო იქცა. მიუხედავად ჩვენი წინაპრების თავგანწირული ბრძოლებისა, ოსმალები მეთოდურად იკავებდნენ ჩვენს ტერიტორიებს. სხვადასხვა ფაქტორებთან ერთად მტერს თავისი მიზნების განხორციელებას ისიც უადვილებდა, რომ ქართველები მომხდურთა წინააღმდეგ ვერ გამოდიოდნენ ერთიანი ფრონტით, პირიქით ზოგჯერ ერთმანეთის წინააღმდეგ მტრულ ძალებსაც იყენებდნენ ხოლმე. ასე მოხდა, მაგალითად 1545 წელს - სოხოისტას ომში, როდესაც სამცხის გავლენიან ფეოდალთა ერთმა ნაწილმა იმერეთისა და ქართლის მეფეთა წინააღმდეგ ომში დასახმარებლად სულთანს მიმართეს; მათი მიზანი იყო სეპარატისტულად განწყობილი ყვარყვარე III- ის მემკვიდრის, ქაიხოსროს ათაბაგად დასმა, სამცხე საათაბაგოს ერთიანი ქართული სხეულისაგან ჩამოცილება. ოსმალებმა მესხ დიდებულთა ნაწილის ღალატის გამო მოახერხეს საქართველოსთვის ჩამოეგლიჯათ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს დიდი ნაწილი. ამ მოვლენის შესახებ ქართულ ისტორიოგრაფიაში აზრთა სხვადასხვაობაა. სტატიის მიზანია მეტნაკლები სიცხადე შეიტანოს აღნიშნულ საკითხში.

ასევე მნიშვნელოვანია საქართველოსთვის ჩრდილის ბრძოლაც, რომელიც ირან-ოსმალეთის ომის შემადგენელი ეპიზოდია. მან უარყოფითად იმოქმედა ჩვენს ქვეყანაზე. ამ შემთხვევაში ერთმანეთთან შიდაფეოდალური ბრძოლებით დაქანცული სამცხე-საათაბაგოს მოსახლეობა მოუმზადებელი შეხვდა ქვეყანაში შემოჭრილ მტერს. 1578 წელს ჩრდილის ბრძოლაში ირანელების დამარცხებამ შესაძლებლობა მისცა ოსმალებს უფრო აქტიური პოლიტიკა გაეტარებინა სამცხე-საათაბაგოს წინააღმდეგ, რასაც ამ მხარეში ოსმალური ადმინისტარაციის გაჩენა მოჰყვა, ჩრდილის (ახალციხის) საფაშოს სახით. ამ სამხედრო წარმატებების შემდეგ (რასაც როგორც აღვნიშნეთ ხელი ქართველთა არაერთსულოვნებამაც შეუწყო), ოსმალებმა დაიწყეს დაპყრობილი ტერიტორიების ოსმალურ ყაიდაზე გარდაქმნა. ჩამოაყალიბეს ვილაიეთები, ლივები, სანჯაყები. აღწერეს მოსახლეობა, მიწები, პირუტყვი, დაბეგვრის გარეშე არ დარჩენილა მეურნეობის არცერთი დარგი, განსაკუთრებით ავიწროებდნენ ქრისტიანულ ეკლესიას, მაჰმადიანობასთან შეუთავსებელ მეურნეობის დარგებს: მეღორეობას, მევენახეობას. აღწერის დავთრებში შეტანილი იყო ყველა ქლაქი, დაბა, სოფელი, ეკლესია, ციხე-სიმაგრე და სხვა საფორტიფიკაციო ნაგებობები. რა თქმა უნდა ეს დავთრები ემსახურებოდა ოსმალთა ფისკალურ ინტერესებს, მაგრამ მისი შესწავლა და საისტორიო მიმოქცევაში შეტანა დიდ სამსახურს გაუწევს ქართულ ისტორიოგრაფიას. სწორედ ეს არის ჩვენი პროექტის ერთერთი მთავარი მიზანი.

მანანა კვეტენაძე

ზოგიერთი ქრისტიანული გადასახადის გავრცელების გეოგრაფია „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ (1595 წ.) მიხედვით

ნაშრომში წარმოდგენილია „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“, სადაც მოვახდინეთ დავთარში არსებული მონაცემების სტატისტიკური დამუშავება და გეოგრაფიული ანალიზი.

კვლევის დროს თავდაპირველად შევისწავლეთ გურჯისტანის ვილაიეთის ტერიტორია, როგორც ოსმალების მიერ დაპყრობილი უდიდესი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული, რომელიც საქართველოს სამხრეთ ნაწილში მდებარეობდა. ასევე, მოხდა შესწავლა 1595 წლით დათარიღებული უნიკალური ხელნაწერის, რომელიც მოიცავს უმნიშვნელოვანეს მასალას. კერძოდ, განვიხილეთ თითოეული დასახლებული თუ დაუსახლებელი პუნქტი და დეტალურად დავამუშევეთ დავთარში არსებული გადასახადები. შესაბამისად, გაკეთდა მათი კლასიფიკაცია დარგების მიხედვით (სამეურნეო და არასამეურნეო). უნდა აღინიშნოს ის, რომ კვლევამ საშუალება მოგვცა ყურადღება გაგვემახვილებინა ისეთ სამეურნეო დარგებზე, როგორებიცაა მემარცვლეობა, მეცხოველეობა, მეხილეობა, მებოსტნეობა და სხვა. რაც თავისმხრივ წარმოდგენას ქმნის აღნიშნული რეგიონის ეკონომიკური განვითარების შესახებ.

კვლევის პროცესში გამოიკვეთა რა ქრისტიანული მრწამსის სტაბილური შენაჩუნება ოსმალურ მხარეში, მოხდა იმ გადასახადთა კვლევა, რომლებიც უშუალოდ კავშირში იყო ქრისტიანობასთან. მაგალითად გადასახადი ღორზე, ისფენჯიზე, მურახასიესა და ვენახზე. განხორციელდა მათ შესახებ ინფორმაციის მოძიება, დამუშავება და მონაცემთა ბაზის შექმნა. რამაც საშუალება მოგვცა დაგვედგინა მათი გავრცელების გეოგრაფია „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ (1595 წ.) მიხედვით.

შალვა ჯაფარიძე

„მესხეთი ოსმალური დავთრების მიხედვით (XVI-XIX)“

XVI-XIX საუკუნეებში, როდესაც ოსმალთა იმპერიას ისტორიული მესხეთი ჰქონდა მიტაცებული, თავისივე საგადასახადო პოლიტიკას აწარმოებდა.

ისტორიულმა წყაროებმა ამის დასადასტურებლად, უამრავი ნუსხა შემოგვინახა. მის ტექსტუალურ ანალიზს დიდი როლი გააჩნია, ოსმალებთან ზოგადი თუ კონკრეტული ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური კავშირების დასადგენად.

აღნიშნულ მოხსენებაში ვისაუბრებ ოსმალური დავთრების ქართულ თარგმანებთან შესაბამისობის თაობაზე, რომელიც მოიცავს როგორც ოსმალური, ასევე ქართული დავთრების ტექსტუალურ ანალიზს, ტოპონიმთა ეტიმოლოგიის დადგენას და მათი ტექსტთან მიმართების გამორკვევას.

დალი ნიკოლაიშვილი

ვაზის კულტურა გურჯისტანის ორი დიდი დავთრის (1574-1595 წწ.) მიხედვით

საყოველთაოდაა ცნობილი, რომ ვაზი დიდ როლს ასრულებდა ქართველი მეურნის ცხოვრებაში და შეიძლება ითქვას, რომ ვაზისაგან მიღებული პროდუქტების წარმოება მისი ერთ-ერთი მთავარი სამეურნეო საქმიანობა იყო.

ასე იყო მესხეთშიც, რაც არაერთი ფაქტით (წერილობითი წყაროებით, არქეოლოგიური არტეფაქტებით) დასტურდება. ეს საკითხი დღეს არანაირ დისკუსიას არ საჭიროებს და არც ჩვენ ვაპირებთ ამას.

ჩვენი მიზანია წარმოაჩინოთ XIX ს.-ის მიწურულის ვითარება, კერძოდ, ვაზის სამეურნეო ყოფაში გამოყენების მასშტაბები და გეოგრაფია ოსმალური ბატონობის პირობებში, - ანუ იმ პირობებში, როცა მოისპო მანამდე დამკვიდრებული ფეოდალურ-ქართული მიწათმფლობელობის წესი და დაინერგა სრულიდ ახალი - ოსმალური. ამან კი, თავის მხრივ, საშიშროების წინაშე დააყენა ყოველივე ქართული, მ.შ. ვაზის კულტურაც.

ამ მიზნის მიღწევის მიზნით ვიხელმძღვანელეთ 2 დავთრით: „გურჯ. დავთ.-1574“ და „გურჯ. დავთ.-1595“. გაანალიზდეს გადასახადები და ვენახზე გაწერილი გადასახადის წილი.

დავთრების მონაცემების ანალიზით ირკვევა, რომ მეურნეობის ძირითადი დარგი იყო მემარცვლეობა, რაც სრულიად ლოგიკურია. მარცვლეული (უმთავრესად ხორბალი, ქერი, აგრეთვე ფეტვი და ჭვავი) მოსახლეობისა და პირუტყვის ძირითადი საკვები წყარო ოყო. შესაბამისად, მემარცვლეობასთან შედარებით, ვენახზე გაწერილი გადასახადის რაოდენობა ვერანაირ რეალურ სურათს ვერ დაგვანახებს. ამიტომ მემარცვლეობის გამორიცხვით უნდა ვიმსჯელოთ, რათა მევენახეობის როლი წარმოვაჩინოთ.

დავით სართანია

მონადირე ფრინველები ოსმალური დავთრების მიხედვით

ნადირობას ძველ საქართველოში, ისევე როგორც სხვა ფეოდალურ სახელმწიფოშიც, განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. პირველ რიგში იგი სამეურნეო საქმიანობა იყო და ნანადირევი მნიშვნელოვნად ავსებდა ოჯახის საკვების რაციონს. მაგრამ მოგვიანებით მან სხვა ფუნქციებიც შეიძინა. იგი გართობის სახედაც იქცა და ფეოდალურ ეპოქაში უფრო სამხედრო ვარჯიშობის დატვირთვა მიიღო. ამის შესახებ ივანე ჯავახიშვილიც მიუთითებდა: „ნადირობას ძველს დროს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და მარტო გასართობად არ ითვლებოდა: იგი ერთგვარი სამხედრო და სალაშქრო ვარჯიშობა იყო, როდესაც ადამიანის თვალი და ხელი მარჯვე სროლას, განსაცდელის გულად ატანასა და მოქმედების მსწრაფ სიმკვირცხლეს ეჩვეოდა; ამიტომაც იყო, რომ მაშინ ხელმწიფე ყველაფერს დასთმობდა და ყოველგვარი გადასახადების შეუვალობას მიანიჭებდა ხოლმე, მაგრამ ლაშქარ-ნადირობისაგან რომ გაენთავისუფლებინა, თუ არ მოხუცი და უძლური, არას გზით არ შეიძლებოდა“ [ჯავახიშვილი, ტ. 6. გვ. 323].

მონადირე ფრინველის გამოყენების ყველაზე უძელესი დადასტურება ქვაზე გამოსახული ბარელიეფის სახით ნაპოვნია ძველ ასურეთში, რომელიც თარიღდება ძვ. წ. IX ს-ით [ალ. რობაქიძე, მიმინოთი ნადირობა გურიაში, საქ. მეცნ. აკად. „მიმომხილველი“, თბ., 1949, I, გვ. 182]. სამხრეთ კავკასიაში ნაპოვნია შევარდნის რკინის გამოსახულება, რომლის მიხედვითაც ვარუდობენ, რომ შევარდნით ნადირობა რკინის ინდუსტრიის ხანაში უკვე რეალური ფაქტი იყო [რობაქიძე, ... კოლექტიური ნადირობის გადმონაშთები რაჭაში, თბ. 1941, გვ. 166].

საქართველოში ნადირობდნენ გარეულ ცხოველებზე და ფრინველებზე და საქართველოს სამეფო კარზე შესაბამისი თანამდებობაც არსებობდა, რომელსაც ნადირობის ორგანიზაცია ევალებოდა. მას **მონადირეთუხუცესი** ეწოდებოდა და ექვემდებარებოდა ქვეყნის სხვადასხვა მხარეში მცხოვრები მოხელეები - **მონადირენი**. ხელმწიფის კარის გარიგების მიხედვით კახეთში და იმერეთში ისინი 260 სახლი ანუ ოჯახი ყოფილა. ფრინველებზე ნადირობა ნადირობის ცალკე სფერო იყო და მას **ბაზიერთუხუცესი** განაგებდა. სიტყვა „ბაზი“ სპარსულია პირდაპირი მნიშვნელობით ქორსა და მიმინოს ნიშნავს, თუმცა ზოგადად მონადირე ფრივნელთა ზოგად სახელად გვევლინება. აქედან გამოდინარე კი ის ვინც მონადირე ფრინველს წვრთნის და უვლის **ბაზიერია.** ცნობილია XIV ს. სპარსული ძეგლი „ბაზ-ნამე“, რომელიც მტაცებელი ფრინველის დაჭერა-გამართვისა და მოვლა-პატრონობის ტრაქტატს არმოადგენს [რობაქიძე, მიმინოთი ნადირობა გურიაში, საქ. მეცნ. აკად. „მიმომხილველი“, თბ., 1949, I, გვ. 176]. ეტყობა სწორედ სპარსეთის გავლენით გვიან შუასაუკუნეებში საქართველოს სამეფო კარზე არსებული სახელო მონადირეთუხუცესისა იცვლება ბაზიერთუხუცესით.

კალმასობაში ბაზიეთუხუცესის სახელო შემდეგნაირადაა განმარტებული: „ბაზიერთუხუცესი ყოველთა მონადირეთა უფროსია და ყოველი სანადირო ადგილნი მინდვრისა, თუ ტყისა, თუ ჭალისა და ფრინველთა მის ჴელქვეშედ უნდა იყოს, რომ უიმისოდ ვრავინ ინადირებდეს... აგრეთვე შემოღობილნი ადგილნი და ნადირნი დამწყვდეულნი მას ეკითხებოდა. აგრეთვე ჯელგის კაცნიცა ამას ეკითხებოდა, ბაზიერნი, რომელსაც სოფლებს ედვა, ის გამოიყვანდა; სანადირო ფრინველნი, სანადირო ძაღლნი სულ მას ეკითხებოდა და მეძაღლეებიც და ბაზიერებიც მას ებარნენ“ [კლამასობა, ტ. 1. გვ. 463]. მონადირე ფრინველი კალმასობის მიხედვით არის: მიმინო, ქორი, შავარდენი, გავაზი, ბარი, არწივი, სონრული, თორნღული, ალალი, მარჯანი, შავთვალი, სირკაჭკაჭი და ჯინხვა. ისინი სხვადასხვა ფრინველებზე სანაიდიროდ გამოიყენებოდა. „კალმასობის“ მიხედვით ისინი

ერთმანეთისაგან განსხვავდებიან არა მარტო სიდიდით, არამედ თვისებებითაც და ამიტომ დანიშნულებაც სხვადასხვა ჰქონდათ. ასე მაგალითად, მიმინოთი ნადირობდნენ მწყერზე, ღალღაზე და წვრილ ჩიტებზე; ქორით ხოხობზე, კაკაბზე, დურაჯზე, გნოლზე, იხვზე; შევარდნით წეროზე და ბატზე; არწივით მგელზე, ჯეირანზე და ირემზე და ა.შ.

ზოგიერთ ოსმალურ დავთარში ფიქსირებულია მონადირე ფრინველებზე დაწესებული გადასახადი, რომელსაც ცხრილის სახით წარმოვადგენთ.

ლივა	მონადირე ფრინველი	წლიური გადასახადი ახჩებში	შენიშვნა
თორთომი	მიმინო და შევარდენი	500	
ოლთისი	არწივი	1700	ეს ცნობა დავთარში შემდეგი სახითაა მოცემული: „შემოსავალი არწივების სახლიდან და მათი ადგილსამყოფელიდან ხსენებულ ლივაში წელიწადში 1700“
დიდი არტაანი	შევარდენი, ბალაბანი	1000	ეს ცნობა დავთარში შემდეგი სახითაა მოცემული: „შემოსავალი სამეუფეო შევარდენებზე, ბალაბანზე კაშანის ჯიშისა ხსენებულ ლივაში. წელიწადში 1000“.
არტანუჯი	არწივი, ბალაბანი	500	„შემოსავალი სამეუფეო არწივებზე, ბალაბანზე, ვაჰშიზა ხსენებულ ლივაში“. აქ რიცხვი არ წერია. ამოკითხულში კი წერია 500.

დავთარში ეს ცნობები ცოტა ბუნდოვნადაა მოცემული, მაგრამ ჩანს რომ ნადირობასთან დაკავშირებული გადასახადები ხასებს ანუ უველაზე მაღალი თანამდებობის პირებს ეკუთვნოდათ. მეტიც ერთგან მითითებულია, რომ „ხასები ფადიშაჰის უდიდებულესობისა“ ყოფილა [1574 წლის გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, თბ., 2016. გვ. 377].

დაახლოებით 20 წლის მერე შედგენილ დავთარში რატომღაც ანალოგიური გადასახადები არ ჩანს. სამაგიეროდ ერთგან ვკითხულობთ: „ბუდე შავარდნისა და ქორისა - სოფელ სასხარსა და სორსში... 500 [ახჩა]“ [1595 წ. გურჰისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, თბ., 1941, გვ. 502].

თუ ჩვენ ამ მცირე ცნობას დაახლოებით იგივე პერიოდში შედგენილ ქართულ ძეგლს - „დასტურლამალს“ შევადარებთ, საინტერესო სურათს მივიღებთ. აქ მითითებულია ბაზიერთხუხუცესის სახელო და მისადმი დაქვემდებარებული მოხელეები, რომელთა შორის არიან: ქორის, შავარდნის, გავაზის... ბაზიერები. იქვე ბუდეებია ჩამოთვლილი, რომლებიც ქართლის შემდეგ სოფლებში ყოფილა გაფანტული: ნიჩბისი, კავთისხევი, კლდეკარი, წითელი კლდე, აბუხალო. თრეღვი, ნეძვი, ახლადაბა და სხვა. სულ ასეთი ბუდის ადგილები 15-ია მითითებული. თურმე ამ ბუდეებს საგანგებო ყურადღება სჭირდებოდა, რომ არავინ გაკარებოდა. მათზე პატრონობა კი იმ სოფლელებს ევალებოდათ, სადაც ბუდეები იყო. მოვიყვან ერთ ამონარიდს: „ეს ბუდეები, რომელიც რომლის სოფლისათვის მიგვიბარებია, ამათ ასრე შეინახონ, რომ კარგ გვარად თვალი დაიჭირონ, რიგისათ კაცს დაუყენებდენ. რა ერთი ალაგი ამ ოთარმან [ალბათ დანიშნული საგანგებო მოხელე, დ.ს.] ბუდის გარშემო გაჩვენოსთ და გითხრათ, იმდენი ალაგი ყორუღათ შეინახეთ, იქ ნურავინ გაივლის, ნურც ხეს მოსჭრიან. სადამდის ჩვენი ბაზიერი არ მოვიდეს, ნურავინ ბუდეში ჩაეკიდება, ნურც კვერცხს ნახვენ, ნურც ქულას ნახვენ, შორიდამ თვალი ეჭიროს. რახან ჩვენი ბაზიერი მოვიდეს, იმან ნახოს. რაც იყოს, იმან ამოიყვანინოს. ვინც უჩვენ-ბაზიეროდ ნახავს და ჩეკიდების, შვიდეულად ვაზღვევინებთ. ეს ბუდე, ვისაც აბარია და დაგვიწერია, ესენი კარგად გაფრთხილდნენ და დააყორუღონ, რომ შავარდენმა იბუდოს, თორემ შავარდენი თუ არ იბუდებს, რამდენიც ბუდე არის, ბუდის თავს ყოველნს წელიწადს ამ სოფლებს ოროლს

მთავარს შავარდენს ვასყიდვინებთ, იცოდნენ, არას გზით არ ვაპატივებთ“ [დასტურლამალი, იხ. ქართული სამართლის ძეგლები, თბ., 1970, გვ. 694-695].

ამდენად, ქართული და ოსმალური დოკუმენტები მოწმობენ, რომ მონადირე ფრინველების მოვლა-პატრონობა უმაღლეს ხარისხში ყოფილა აყვანილი და მას თურმე უშუალოდ უმაღლესი ხელისუფლება აკონტროლებდა. ამას მოწმობს ქართული და ოსმალური ცნობები. მართალია, ოსმალების დაპყრობილ მესხეთში სულ ერთგანაა ნახსენები ბუდე და რამდენიმეგან კი თავად მონადირე ფრინველები, რაც დასტურლამალის მონაცემებს აშკარად ჩამორჩება, მაგრამ ესეც საკმარისია იმის სათქმელად, რომ მეურნეობის ეს სახეც - ფრინველებით ნადირობის ტრადიცია ბოლომდე არ ჩამკვდარა. ახლა მისი გაგრძელება უკვე ფადიშაჰის ანუ ოსმალეთის სულთნის ნება-სურვილზე ეკიდა, რადგანაც მას ანალოგიური გადასახადი მის თვალუწვდენელ იმპერიის სხვა მხარეებიდანაც მისდიოდა და ინტერესიც იმდენი შესაძლოა არ ჰქონოდა. თავად ადგილობრივი მოსახლეობა კი დამოუკიდებლად მას ვერ განავითარებდა, რადგანაც ნადირობის ეს სახე დაწინაურებული ფენის პრეროგატივა იყო და მათთვის კი აკრძალული საქმიანობის სფერო. ამიტომ, ალბათ, ამ ფაქტორით უნდა აიხსნას ოსმალურ დავთრებში ფრინველით ნადირობის ასე მწირად მოხსენიება.

დარეჯან კირთაძე

თხზული გეოგრაფიული სახელები ოსმალური დავთრების მიხედვით (XVI-XIX სს.)

ნაშრომის მიზანი იყო, ოსმალურ დავთრებზე (1574 წლის გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, 1595 წლის გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, აჭარის ლივის ვრცელი და მოკლე დავთრები, არტანუჯის დავთარი ≈1595, 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი, წ. I, ჩრდილის ვილაიეთის დავთარი - 1835, დავთარი - 1835-36) დაკვირვებით თხზული გეოგრაფიული სახელწოდებების გამოვლენა, თავმოყრა და კლასიფიკაცია.

კვლევის შედეგები ასეთია:

ოსმალურ დავთრებში საკმაო მრავალრიცხოვნობით გვხვდება რთული გეოგრაფიული სახელები, რომლებიც მსაზღვრელ-საზღვრულის წესითაა გაფორმებული. პირველი წევრი ხშირად სხვადასხვა ფუძის მქონე (ზოგჯერ გამჭვირვალე, ზოგჯერ გაურკვეველი) ატრიბუტული ან სუბსტანტიური მსაზღვრელია. არის როგორც პრეპოზიციული, ისე პოსტპოზიციური წყობის შემთხვევები.

საზღვრულ (ზოგჯერ მსაზღვრელ) ინდიკატორებად გამოყენებულია სხვადასხვა ლექსიკური ერთეული, არსებითი სახელები: **უბანი, ხევი, ციხე, მამული, იალაღი, ყანა, დაბა, კარი, კლდე, ქვაბი, თავი, ყური, თვალი, ჭალა, ტბა, წყარო, ჯვარი, ეკლესია, მონასტერი.**

ოსმალური დავთრების ტოპონიმიკაში გარკვეული ადგილი უჭირავს როგორც წმინდანის სახელთან დაკავშირებულ, ისე თეონიმურ თხზულ გეოგრაფიულ სახელებს.

დავთრების მიხედვით ხშირია შემთხვევები, როდესაც თხზული გეოგრაფიული სახელების სინტაგმურ წყვილს ქმნის მსაზღვრელი, ზოგჯერ საზღვრული ზედსართავი სახელები: **დიდი, პატარა, წითელი, კარგი, ძველი, თეთრი, კეთილი, თბილი.**

სამკომპონენტიანი გეოგრაფიული სახელებიდან პირველი კომპონენტი ზედსართავი სახელია, მეორე - ზმნიზედა ან პირველი კომპონენტი ზმნიზედაა, მეორე - ზედსართავი სახელი.

მრავალრიცხოვანი შემთხვევა გვაქვს, როდესაც თხზულ გეოგრაფიულ სახელებში პირველ კომპონენტად გვხვდება ზმნიზედები: **ზედა, ზემო, ქვემო, შუა**, იშვიათად - **წინ.** მეორე კომპონენტი ერთფუძიანია, ზოგჯერ - ორფუძიანი.

დავთრებში გვხვდება ბინარული ოპოზიციის შემთხვევები. მეორე კომპონენტი ერთფუძიანია, იშვიათად - ორფუძიანი.

ოსმალურ დავთრებში საკმაოდ ბევრი შემთხვევა აღინიშნება, როდესაც თხზული გეოგრაფიული სახელი გაფორმებულია **-შენ** კომპონენტის გამოყენებით, რომელიც დასახლებულ პუნქტს აღნიშნავს. ხშირად იგი ადამიანის სახელთან ერთად გვხვდება.

ზოგჯერ სინტაგმური წყვილის პირველ კომპონენტად გამოყენებულია რიცხვითი სახელები: **ორი, სამი.**

გვხვდება ფუძის გაორკეცებით მიღებული გეოგრაფიული სახელიც.

ზოგჯერ ანთროპოტოპონიმის ორივე კომპონენტი შედგება ადამიანის სახელისაგან.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ საკვლევი დავთრების მიხედვით ისტორიულ საქართველოში გავრცელებული თხზული გეოგრაფიული სახელწოდებების იდენტური მაგალითები საკმაო მრავალრიცხოვნობით აღინიშნება თანამედროვე საქართველოშიც (შესადარებლად გამოვიყენეთ საქართველოს ზოგადგეოგრაფიული რუკა, 2019).

თედო გორგოძე

ოსმალური დავთრების მიხედვით შედგენილი მესხეთის კარტოგრაფირების ზოგიერთი მეთოდოლოგიური საკითხი

პროექტის წინაშე დასმული ამოცანებიდან, ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენდა მე-16-19 საუკუნეების ოსმალურ დავთრებში (7 დავთარი) აღწერილი საქართველოს ისტორიული ტერიტორიის კარტოგრაფირება და თემატური რუკების შექმნა. კარტოგრაფირებული ტერიტორიის ფართობი დაახლოებით 20 000 კვ. კმ-ს შეადგენს და იგი თანამედროვე საქართველოსა და თურქეთის ფარგლებშია მოქცეული.

კარტოგრაფირების პროცესი მოიცავდა რამდენიმე ეტაპს: 1. კარტოგრაფიული საფუძვლის შექმნა (დიგიტალიზაცია), 2. თემატური შინაარსის დამუშავება და თემატური რუკების შექმნა, 3. რუკების გამოცემისათვის მომზადება. სულ შედგენილ იქნა 35 რუკა, რომელთაც სხვადასხვა ზომები გააჩნია. მათ შორის: ნაჰიეთა რუკები (33 რუკა) – A4 ან უფრო მცირე ზომის, ნანგრევების რუკა - A3 ზომის, საერთო რუკა - 130x105 სმ ზომის. ყველა რუკას აქვს ფიზიკურ-გეოგრაფიული საფუძველი. ნაჰიეთა რუკებზე თემატურ შინაარსს წარმოადგენს რელიგიური სტრუქტურა, რომელიც ხუთ რაოდენობრივ გრადაციად არის დაყოფილი. გარდა დასახლებული პუნქტებისა, რუკებზე დატანილია ნასოფლარი, სათესველი, იალაღი, ადგილი და უბანი. ნანგრევების რუკაზე თემატურ შინაარსში მოცემულია ნანგრევები, რომელთა შორის გამოიყოფა სახელწოდების მქონე და უსახელო ნანგრევები. რუკაზე დამატებით ინფორმაციად მოცემულია სახელწოდების მქონე ნანგრევების გეოგრაფიული კოორდინატები. საერთო რუკა მოიცავს მთელ იმ ტერიტორიას, რომელიც ზემოთ ნახსენებ დავთრებშია მოცემული. რუკაზე მოცემულია ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა სხვადასხვა დავთრებისა და პერიოდის მიხედვით. დამატებითი ინფორმაცია მოცემულია ჩანართი რუკების, კარტოგრამების და დიაგრამების სახით. ზოგიერთი მონაცემი გარკვეულწილად არასრულყოფილია, რაც გამოწვეულია დავთრების არასრული მონაცემებით.

პროექტის განმავლობაში ჩატარებული კარტოგრაფიული სამუშაოები გვაძლევს იმის შესაძლებლობას, რომ აღნიშნული ტიპის კვლევები მომავალშიც გაგრძელდეს და საქართველოს ისტორიული ტერიტორიების შესახებ კიდევ შეიქმნას სხვადასხვა შინაარსის, უფრო მეტად სრულყოფილი კარტოგრაფიული მასალა.

ვაჟა ტრაპაიძე

სამცხე-ჯავახეთის წყლის რესურსების გამოყენების პერსპექტივები

სამცხე-ჯავახეთი წყლის რესურსების რაოდენობთ ერთ-ერთი გამორჩეული რეგიონია აქ წარმოდგენილია როგორც მდინარეული ისე ტბების და მიწისქვეშა წყლის რესურსები. გამოყენების კუთხით ძირითადი აქცენტი უჭირავს მდინარეულ წყლის რესურსებს.

პრეზენტაციაში განხილულია რეგიონის ჰიდროლოგიური ფაქტორები, წარმოდგენილია ჰიდროლოგიური რაიონების წყლის რესურსების მარაგები. დიდ და მცირე მდინარეთა ჰიდროენერგეტიკული პოტენციალი, ჰიდროენერგო სადგურების მშენებლობის მიმდინარე და პერსპექტიული პროექტები სამცხე-ჯავახეთში, სასმელი წყალმომარაგება მუნიციპალიტეტების მიხედვით, სარწყავი ფართობები და სარწყავი პოტენციალი, წყალდაცვითი ზონები, ტერიტორიული გადანაწილების ძირითადი საკითხები.